**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე**

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა**

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ადვოკატი ე. რ. /სიითი №/

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 23.07.2018

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 098/18

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ს. ჯ.-ს /სიითი №/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ს. ჯ.-სათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

## I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 23 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ე. რ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. აგრეთვე, 2018 წლის 19 სექტემბერს ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში, ხოლო 2019 წლის 30 იანვარს განხილვის კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის იცავდა ძალადობის მსხვერპლი ქალის, მ. კ.-ს ინტერესებს საქმეში, სადაც კლიენტის ყოფილ მეუღლეს, მ. ხ.-ს წაყენებული ქონდა ბრალდება სსსკ-ის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილით. ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ს. ჯ..

1.3 განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ დაზარალებულმა მ. კ.-მ მასთან ოფისში მისვლისას სთხოვა დახმარება მისი ყოფილი ქმრის ადვოკატთან ურთიერთობაში, კერძოდ მისგან უსაფრთხო გარემოს შექმნაში. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი თითქმის ყოველდღიურად ტირილით უკავშირდებოდა ტელეფონის საშუალებით და ეუბნებოდა, ადვოკატი ს. ჯ.-სა და მისი მეუღლის მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე. ისინი სთხოვდნენ დაზარალებულს, რომ მას არ მიეცა ჩვენება ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ, ახორციელებდნენ მასზე ზეწოლას, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ფსიქოლოგიურად ძალადობდნენ მასზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ე. რ.-მ გადაწყვიტა ადვოკატ ს. ჯ.-ს ინფორმირებულობის მიზნით მასთან დაკავშირება, მისთვის ინფორმაციის მიწოდება, რათა ადვოკატ ს. ჯ.-ს სცოდნოდა რომ მ. კ.-ს ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე წარმოებასთან დაკავშირებით იცავდა ე. რ.. საჩვრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატ ს. ჯ.-ს და სთხოვა, რომ კომუნიკაცია ჰქონოდა მასთან და არ დაკავშირებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფს - მ. კ.-ს. თუმცა, საჩივრის ავტორის გაფრთხილების მიუხედავად, ადვოკატი ს. ჯ. არაერთხელ დაუკავშირდა მ. კ.-ს პირადად და სხვა პირების მეშვეობით.

1.4 ე. რ.-მ საქმეში წარმოადგინა ადვოკატ ს. ჯ.-სთან სატელეფონო საუბრის ორი ჩანაწერი, დათარიღებული 2018 წლის 28 მაისით და 2018 წლის 14 ივლისით. პირველი სატელეფონო საუბრის დროს, ს. ჯ.-მ განუცხადა საჩივრის ავტორს, რომ დაზარალებულს არ სჭირდებოდა ადვოკატი და შემდეგ გადავიდა ე. რ.-ს სამუშაო ორგანიზაციის ლანძღვაზე. აღსანიშნავია, რომ სატელეფონო საუბრის ჩაწერის თაობაზე ინფორმირებული არ იყო ადვოკატი ს. ჯ.. ხოლო მეორე სატელეფონო საუბრისას ადვოკატმა, ე. რ.-მ გააფრთხილა ის, რომ მათი საუბარი იწერებოდა, რის გამოც მიმართავდა კომპეტენტურ ორგანოებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მეორე სატელეფონო საუბრისას ადვოკატი ს. ჯ. დაემუქრა, რომ ზემოქმედებას მოახდენდა მოწმეებზე, მ. კ.-ზე და მის არასრულწლოვან შვილებზე, მან განახორციელა ფსიქოლოგიური ძალადობა ადვოკატ ე. რ.-ზე, უყვიროდა და აყენებდა შეურაცხყოფას როგორც ქალს და კოლეგას, ასევე უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა მ. კ.-სა და მის დედას. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ე. რ.-მ განმარტა, რომ ს. ჯ.-მ მას მიმართა შემდეგი სიტყვებით: - რომ ის არის „ახალგაზრდა ჟღვინტიანი ადვოკატი, რომელმაც გუშინ დაიწყო საქმიანობა“, მისი დამსახურებით „სავსეა ციხეები ქართველი ვაჟკაცებით“; ის არ წარმოადგენს არაფერს პროცესუალურად საქმეში; ამასთან, ს. ჯ.-მ სიტყვები - „ფეხებს ვერ მომჭამ ძირში“ რამოდენიმეჯერ გაიმეორა. ე. რ.-ს განცხადებით სატელეფონო საუბარში ადვოკატი ს. ჯ. იმუქრებოდა შემდეგი სიტყვებით: „შენ თვალწინ დავახრჩობ მ. კ.-ს“ „მოვიყვან მ. კ.-ს და არ მივაცემინებ ჩვენებას“. ამასთან, ს. ჯ.-ს სატელეფონო საუბარში აქცენტები ჰქონდა გაკეთებული ორგანიზაციაზე, სადაც ე. რ. მუშაობს, კერძოდ მისი თქმით ორგანიზაცია ანგრევს ოჯახებს და უბედურებებს სჩადის. განხილვის კოლეგიის სხდომაზე ე. რ.-მ განმარტა, რომ დაზარალებულის დახრჩობის მუქარა მისთვის იყო ძალიან შეურაცხმყოფელი. ასევე დამამცირებელი იყო მის საქმიანობაზე აქცენტების გაკეთება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. ჯ. სთხოვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფს ხელწერილის დაწერას, რომლითაც მას პრეტენზია არ ექნებოდათ ბრალდებულის მიმართ და აღნიშნული უნდა გაეფორმებინათ სანოტარო წესით. ამის შემდეგ ს. ჯ.-მ მ. კ.-ს აჩუქა სუნამო და ბეჭედი, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით ამ უკანასკნელმა აჩვენა ე. რ.-ს.

1.6 ე. რ.-ს განცხადებით, ს. ჯ.-ს ცოლს მ. კ.-ს შვილები მიჰყავდა მათ სახლში (ს. ჯ.-ს სახლში) და ბავშვები მასთან ცხოვრობდნენ. აღნიშნული მოქმედება ადვოკატმა განახორციელა მაშინ, როდესაც ბავშვებს ჩვენება უნდა მიეცათ სასამართლოში.

1.7 საჩივრის ავტორმა ასევე განმარტა, რომ ს. ჯ.-ს წინააღმდეგ განცხადებით მიმართა გორის რაიონულ პროკურატურას, ს. ჯ.-ს მიერ მისი ბენეფიციარების ოჯახის მიმართ განხორციელებული ძალადობის თაობაზე, რაზედაც მიმდინარეობს გამოძიება.

**2. მოწმე მ. კ.-ს განმარტება:**

2.1 მოწმე, მ. კ.-ს განმარტებით მას სოფელში ურჩიეს ორგანიზაციასთან დაკავშირება, კერძოდ კი ე. რ.-სთან მისვლა. ორგანიზაციასთან დაკავშირების შემდეგ, ადვოკატი ე. რ. მისი, როგორც დაზარალებულის ინტერესებს იცავდა.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი, ს. ჯ. შეურაცხყოფებს აყენებდა მას და ე. რ.-ს. მისივე თქმით, ს. ჯ.-ს ცოლმა მას მიუტანა მ. ხ.-ს ციხიდან გამოყვანის მიზნით შედგენილი ხელწერილი, რომელიც დაწერილი იყო მ. ხ.-ს დედის, თ. ხ.-ს მიერ. ამასთან, ს. ჯ.-ს ცოლმა სასამართლო სხდომამდე რამოდენიმე დღით ადრე სახლში მიუტანა საჩუქრები - სუნამო და ბეჭედი. საღამოს კი ს. ჯ.ც მივიდა. თუმცა, შემდეგ მოწმემ განმარტა, რომ ს. ჯ. და მისი ცოლი ერთად მივიდნენ და ს. ჯ.-მ გადასცა საჩუქრები.

2.3 მოწმის განმარტებით, ს. ჯ.-მ, მისი თანდასწრებით, მხოლოდ ერთხელ დაურეკა ე. რ.-ს და უთხრა, რომ ბავშვები მის სახლში იყვნენ და მ. კ. თანახმაა მ. ხ.-ს გამოყვანაზე, რაზედაც ე. რ.-მ უპასუხა, რომ მ. არის მისი კლიენტი და მის გარეშე ვერ გადაწყვეტს ამ საკითხს. რის შემდეგაც, ს. ჯ.-მ სიტყვიერად შეურაცხყო ე. რ..

2.4 მოწმე ასევე განმარტავს, რომ ს. ჯ. ზაფხულის პერიოდში, პროცესამდე, მას მიმართავდა შემდეგი სიტყვებით: - „გამოვიყვანოთ მარადი“, „თუ ხელწერილს არ მოაწერ ხელს დაგახრჩობ“. მოწმის თქმით, ადვოკატი ს. ჯ. შეურაცხყოფებს აყენებდა მ. კ.-ს და ზეწოლას ახდენდა მასზე.

**3. მოწმე ვ. ა.-ს განმარტება:**

3.1 მოწმე ვ. ა. წარმოდგენს დაზარალებულის და ე. რ.-ს დაცვის ქვეშ მყოფის მ. კ.-ს დედას. მისი განმარტებით, ადვოკატი ს. ჯ. მიდიოდა მის სახლში და მ. კ.-ს ავიწროვებდა და მიმართავდა შემდეგი სიტყვებით - „იცოდე დაგახრჩობ“.

3.2 მოწმის განმარტებით, ზაფხულის პერიოდში, ს. ჯ.-ს სახლში ყოფნისას, როდესაც მ. კ.-ს შვილს ს. ჯ.-ს ცოლი უკეთებდა მასაჟებს, ე. რ.-მ დაურეკა ს. ჯ.-ს და უთხრა, რომ მ. კ.-ს შვილებს უნდა

მიეღოთ ბინა მამისგან, რადგან ბავშვებს თავშესაფარი ჰქონოდათ. ს. ჯ.-მ უპასუხა - ბავშვები წაიყვანეთ თავშესაფარში და ამის შემდეგ სიტვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ე. რ.-ს.

3.3 მოწმის, ვ. ა.-ს განმარტებით, ს. ჯ. ცოლთან ერთად მივიდა მის სახლში და მ. ხ.-ს ციხიდან გამოყვანის მიზნით ხელწერილი მიუტანა მ. კ.-ს, რის სანაცვლოდაც მ. კ.-ს მიერ ლომბარდში ჩადებული ოქროების გამოტანასა და სახლის მიცემას დაჰპირდა. მ. კ.-მ არ დაწერა ხელწერილი, რაზედაც გაბრაზდა ს. ჯ., დაიწყო გინება და დახრჩობით დაემუქრა მ. კ.-ს.

**4. ადვოკატ, ს. ჯ.-ს პოზიცია:**

4.1 ადვოკატმა, ს. ჯ.-მ 2018 წლის 03 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საქმის ზეპირ განხილვაში - 2018 წლის 09 ოქტომბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში, ხოლო 2019 წლის 30 იანვარს, განხილვის კოლეგიის სხდომაში. ადვოკატმა განმარტა, რომ ახორციელებდა ბრალდებულ მ. ხ.-ს ინტერესების დაცვას სსსკ-ის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

4.2 ს. ჯ.-ს განმარტებით მ. კ. და დედამისი ვ. ა. არიან მისი ნათესავები, რომლებიც ხშირად აყენებდნენ, როგორც ფიზიკურ ასევე სიტყვიერ შეურაცხყოფას მისი დაცვის ქვეშ მყოფს, მ. ხ.-ს. ისინი ამცირებდნენ მას თანატოლებში და მეზობლებში.

4.3 ადვოკატმა ს. ჯ.-მ განმარტა, რომ მის სახლში მივიდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის დედა, თ. ხ.. მან უთხრა, რომ ადვოკატ, ე. რ.-ს სურდა მასთან გასაუბრება. რის შემდეგაც, თ. ხ.-მ დარეკა ს. ჯ.-ს ტელეფონიდან. ე. რ.-მ თინა ხიჩიკაშვილს ტელეფონზე საუბრისას განუმარტა, რომ სამოქალაქო დავის ფარგლებში მ. კ. ვერ შეძლებდა ქონების მიღებას, შესაბამისად, სარგებლობდნენ მ. ხ.-ს პატიმრობაში ყოფნით და თ. ხ.-ს თავისი ქონებიდან წილი უნდა მიეცა ბავშვებისთვის. აღნიშნულ საუბარს შეესწრო ს. ჯ., გამოართვა ტელეფონი თ. ხ.-ს და ხმამაღალი ტონით განუმარტა ე. რ.-ს, რომ არ დაეშანტაჟებინა მისი დაცვის ქვეშ მყოფის დედა, თ. ხ.. ადვოკატი განმარტავს, რომ ე. რ.-სთვის არ მიუყენებია სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა ხმამაღალი ტონით ესაუბრა მას, ვინაიდან აღელვებული იყო თ. ხ.. ადვოკატმა განხილვის სხდომაზე ასევე განმარტა, რომ სატელეფონო საუბრის დროს ის გაბრაზებული იყო არა ე. რ.-ზე, არამედ იმ ადამიანებზე, რომლებმაც არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს ე. რ.-ს, რაც მან სატელეფონო საუბრის დროს გააჟღერა.

4.4 ს. ჯ.-მ ასევე განმარტა, რომ ის ზეწოლას არ ახდენდა დაზარალებულებზე და მას არასოდეს დაუძალებია მ. კ.-სთვის და მისი დედისთვის - მარადის სასარგებლოდ მიეცათ ჩვენება. ადვოკატის განცხადებით, ის ცდილობდა ოჯახის შერიგებას და ამას აკეთებდა, როგორც ნათესავი, რადგან ორივე მხარე მისი ნათესავები არიან. კერძოდ, დაზარალებული მ. კ. არის მისი გარე ბიძაშვილი. ადვოკატმა ასევე უარყო მ. კ.-სთვის საჩუქრების გადაცემის ფაქტი და აღნიშნა, რომ მ. კ.-მ ბეჭედი და სუნამო მაღაზიიდან აიღო, იმ პირობით, რომ თანხას მოგვიანებით

გადაიხდიდა. ამ დროს მაღაზიაში იმყოფებოდა მისი მეუღლე ი. ა., რომელიც თავდებად დაუდგა მას.

4.5 განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ს. ჯ.-მ განმარტა, რომ მას არ ქონდა განზრახვა ადვოკატ ე. რ.-სთვის მიეყენებინა შეურაცხყოფა და თუ ასეთი რამ იქნა აღქმული ადვოკატ ე. რ.-ს მიერ, მაშინ ის მზად იყო ე. რ.-სთვის მოეხადა ბოდიში.

**5. მოწმე ა. ტ.-ს განმარტება:**

მოწმე, ა. ტ.-მ, რომელიც არის ს. ჯ.-ს მეზობელი განმარტა, რომ მას შემდეგ რაც მ. ხ. დაიჭირეს მ. კ. მისი სამი შვილით და ვ. ა. ხშირად მიდიოდნენ ს. ჯ.-ს სახლში. მოწმის განმარტებით ის არ შესწრებია ე. რ.-ს მიმართ შეურაცხყოფის ფაქტს.

**6. მოწმე ი. ა.-ს განმარტება:**

6.1 მოწმე, ი. ა. არის ს. ჯ.-ს მეუღლე. მოწმემ გაიხსენა ს. ჯ.-სა და ე. რ.-ს შორის სატელეფონო კომუნიკაციის ფაქტი. მოწმის განმარტებით, თ. ხ. თავის შვილიშვილ გოგოებთან ერთად მივიდა მათთან სახლში და მიიტანა ფურცელი, სადაც ეწერა ე. რ.-ს ნომერი და ს. ჯ.-ს უთხრა, რომ მ. კ.-ს დედამ, ვ. ა.მ შემოუთვალა, რომ ე. რ.-ს სურდა თ. ხ.-სთან საუბარი. თ. ხ.-მ დაურეკა ე. რ.-ს ს. ჯ.-ს ტელეფონიდან. თ. ხ. უყვიროდა ე. რ.-ს ტელეფონში - „თქვენ გამიზარდეთ შვილიშვილები, რომ მეუბნებით მიეციო, ჩემს შვილიშვილებს მე ქუჩაში არ დავყრი“. ამ დროს ს. ჯ.-მ გამოართვა ტელეფონი თ. ხ.-ს და ხმამაღლა უთხრა ე. რ.-ს - სამოქალაქო წესით ედავა და თავი დაენებებინა თ. ხ.-სთვის, თუმცა შეურაცხყოფა არ მიუყენებია მისთვის.

6.2 მოწმემ ასევე განმარტა, რომ ს. ჯ.-ს მისი თანდასწრებით არასოდეს უთქვამს მ. კ.-სთვის, რომ მ. ხ.-ს სასარგებლოდ მიეცა ჩვენება. მოწმემ განმარტა, რომ ვ. ა. მივიდა მათთან სახლში და სთხოვა, რომ ხელწერილი დაეწერა მ. კ.-ს სახელზე, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ მ. კ.-ს არ სურდა სასამართლო პროცესზე წასვლა, ვინაიდან ე. რ.-მ განუმარტა, რომ დაიჭერდნენ თუ შეცვლიდა ჩვენებას.

6.3 მოწმემ განმარტა, რომ მ. კ.-ს აჩუქა სუნამო და ასევე ბევრი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთი, რადგან მას ძალიან უჭირს.

**7. მოწმე თ. ჩ.-ს განმარტება:**

მოწმე თ. ჩ. არის ს. ჯ.-ს მეზობელი. მისი განმარტებით, ე. რ.-სთან თ. ხ.-სა და ს. ჯ.-ს სატელეფონო საუბარს ისიც შეესწრო. თ. ხ.-მ უთხრა ს. ჯ.-ს, რომ ე. რ.-ს სურდა მასთან დალაპარაკება და თუ იყო შესაძლებლობა რომ დაერეკა, რაზეც ს. ჯ. დაეთანხმა. თ. ხ.-მ დაურეკა ე. რ.-ს, ამ უკანასკნელმა კი უთხრა ბინა მიეცა მ. კ.-სთვის, რადგან სამოქალაქო დავით ვერაფერს მიიღებდა. საუბრისას  აღელდა თ. ხ. რა დროსაც ს. ჯ.-მ გამოართვა ტელეფონი და ხმამაღლა ესაუბრა ე. რ.-ს. ს. ჯ.-მ ე. რ.-ს მოსთხოვა, რომ ეს ყველაფერი განემარტათ პროცესზე, თუმცა მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

**8. მოწმე თ. ხ.-ს განმარტება:**

8.1 მოწმის განმარტებით, ე. რ.-ს დაუკავშირდა ს. ჯ.-ს სახლში ყოფნისას, ადვოკატ ს. ჯ.-ს ტელეფონიდან. ე. რ.-მ უთხრა, რომ მან თავისი შვილიშვილები ქუჩაში დატოვა და მოსთხოვა მიეცა გორში მდებარე ბინა, რაზედაც გაბრაზდა თ. ხ. და ხმამაღლა ესაუბრებოდა ე. რ.-ს. ამ დროს ს. ჯ.-მ გამოართვა ტელეფონი და ხმამაღალი ტონით მიმართ ე. რ.-ს, რომ ქონების საკითხი არ განიხილებოდა. მოწმის განმარტებით ს. ჯ.-ს ე. რ.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

**9. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია**

9.1. 2018 წლის 01 ნოემბერს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

9.2. საპროცესო კოლეგიას ვერ ჩამოუყალიბდა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან, ამ მხარის ადვოკატის - ე. რ.-ს გვერდის ავლით, კომუნიკაციის თაობაზე, ვინაიდან ს. ჯ.-ს კომუნიკაცია დაზარებულთან და მისი ოჯახის წევრებთან გამოწვეული იყო მათ შორის ნათესაური კავშირით, ბავშვების ინტერესებით და აღნიშნულზე ინფორმირებული იყო ადვოკატი ე. რ.. მხარეთა და მოწმეთა ურთიერსაწინააღმდეგო განცხადებებით ასევე არ დადგინდა, ადვოკატის მიერ დაზარალებულისთვის შეურაცხყოფების მიყენება და მისთვის საჩუქრების გადაცემის ფაქტი.

9.3. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ს. ჯ.-ს მიერ წარმოთქმული სიტყვები „მომისმინე ე. გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში“ - არ წარმოადგენს ადვოკატის შეურაცხყოფას, ვინაიდან გასათვალისწინებელია წარმოთქმული ფრაზის კონტექსტი და მიზანი, რაც ადვოკატებს შორის სტაჟის შედარებისთვის იყო წარმოთქმული. რაც შეეხება წინადადებებს - „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი“; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები“, საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ განხილვის ეტაპზე აღნიშნული ფრაზების ძალადობრივი და მართლსაწინააღმდეგო შინაარსიის დადასტურების შემთხვევაში, სახეზე იქნება კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულების დარღვევა.

**II სამოტივაციო ნაწილი**

**10. საქმის ფაქტები:**

10.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

10.1.1 ადვოკატი ს. ჯ. წარმოადგენდა პატიმრობაში მყოფი პირის - მ. ხ.-ს ადვოკატს, ხოლო ე. რ. იყო მ. ხ.-ს ყოფილი ცოლის, დაზარალებულ - მ. კ.-ს ადვოკატი.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა ახსნა-განმარტება.

10.1.2 წარმოდგენილი 2 სატელეფონო ჩანაწერიდან - ჩანაწერი, რომელიც თარიღდებოდა 2018 წლის 28 მაისით, კომისიის მიერ არ იქნა მტკიცებულებად აღიარებული და საქმეზე დართული, ვინაიდან ჩანაწერის განხორციელების შესახებ არ იყო ინფორმირებული საუბრის მონაწილე მხარე, შესაბამისად, ჩანაწერი კოლეგიის მიერ ჩაითვალა უკანონოდ მოპოვებულად. რაც შეეხება მეორე ჩანაწერს ადვოკატმა ს. ჯ.-მ და ადვოკატმა ე. რ.-მ 2018 წლის 14 ივლისს ისაუბრეს ტელეფონის საშუალებით, რა დროსაც ს. ჯ.-მ საუბარში გამოიყენა შემდეგი სიტყვები: - „ფეხებს ვერ მომჭამენ, მომისმინე ე. გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში"; „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი"; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები".

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

2018 წლის 14 ივლისის სატელეფონო ჩანაწერი;

საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება.

10.1.3 ადვოკატ ს. ჯ.-სა და ე. რ.-ს შორის, 2018 წლის 14 ივლისს განხორციელებული სატელეფონო საუბრის დროს, ს. ჯ. ინფორმირებული იყო სატელეფონო საუბრის ჩაწერის თაობაზე.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

2018 წლის 14 ივლისის სატელეფონო ჩანაწერი;

საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება.

**11. შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

**12. სამართლებრივი შეფასება**

12.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ს. ჯ.-მ ადვოკატ ე. რ.-სთან 2018 წლის 14 ივლისს სატელეფონო საუბრისას დაარღვია შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: *,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები".*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: *,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას".*

12.2 ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვა გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობასა და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთან საერთო კორპორატიული ინტერესებიდან - იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

12.3 ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით წარმოთქმული სიტყვები, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას. დისციპლინური სამართალწარმოების დროს საჩივრის ავტორს ეკისრება ტვირთი დაამტკიცოს, რომ მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა შელახა მისი ღირსება და დააღვია კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება.

12.4 ეთიკის კომისიამ 2006 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“ (საქმე N2317/12/06).

12.5 ადვოკატ ე. რ.-ს განმარტებით, ს. ჯ.-ს მიმართვებმა და ხმამაღალი ტონით საუბარმა შეულახა მას ღირსება, რითაც ს. ჯ.-მ დაარღვია კოლეგის პატივისცემის ვალდებულება. იმისათვის რომ დადგინდეს ადვოკატ ე. რ.-ს პრეტენზიის მართებულობა, აუცილებელია შეფასდეს ადვოკატის გამონათქვამები.

12.6 საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. თუმცა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს, რაც აუციელებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად - სხვათა ღირსების და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად. ამასთან, აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური მიზნით, რაც დაკავშირებულია ადვოკატის პროფესიის რეპუტაციასთან და საერთო კორპორატიულ ინტერესებთან. შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გამონათქვამის შეფასებით - მისი შინაარსის, ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით.

12.7 საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის 14 ივლისის ჩანაწერი, სადაც სატელეფონო საუბრის დროს ადვოკატი ს. ჯ. ადვოკატ ე. რ.-ს მიმართავს შემდეგი სიტყვებით - „ფეხებს ვერ მომჭამენ, მომისმინე ე. გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში“; „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი“; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები“.

12.8 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის დასაბუთებას შემდეგ წინადადებასთან დაკავშირებით - „ფეხებს ვერ მომჭამენ, მომისმინე ე. გუშინ მოსულხარ ადვოკატურაში“ და აღნიშნავს, რომ მოცემული წინადადება გამოხატავს ადვოკატის აზრს, რომელიც წარმოადგენს შეფასებას და ადვოკატ ს. ჯ.-ს სუბიექტურ დამოკიდებულებას ე. რ.-ს მიმართ. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი განმარტავს აზრს, აღნიშნული კანონის 1.“ბ“ მუხლის მიხედვით ის არის *„შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“.* ამავე კანონის 4.1 მუხლის მიხედვით *„აზრი დაცულია აბსოლუტური უფლებით“.*

12.9 განხილვის კოლეგიამ ს. ჯ.-ს მიერ წარმოთქმული სიტყვები - „მაგათი დედაც ვატირე, აი ეგრე გადაეცი“; „არავინ გალაპარაკებთ, მაგის გარანტიას მე გაძლევთ და ერთი წუთით, რა ფულზეა საუბარი, იმ დაზარალებულს დაგიხრჩობ თვალწინ, ჩაიწერე რასაც გეუბნები“, განიხილა მისი შინაარსის, კონტექსტისა და ფორმის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ პირველი წინადადებების შინაარსი შეურაცხმყოფელი ხასიათისაა, ვინაიდან ადვოკატი მისი კოლეგა ადვოკატის მიმართ საუბრისას იგინება, ხოლო მეორე წინადადება შეიცავს ძალადობრივ შინაარსს, რომელიც მიმართულია ე. რ.-ს კლიენტის მიმართ. ამასთანავე, ადვოკატ ს. ჯ.-ს განმარტებით, ს. ჯ.-სა და ე. რ.-ს შორის სატელეფონო საუბრის დროს, ტელეფონი ჩართული იყო ხმამაღალ რეჟიმზე და მათ საუბარს ესწრებოდა რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ ადვოკატებს შორის მიმართვის შინაარსი, რასაც მათ თვალში შესაძლოა ადვოკატ ე. რ.-ს საქმიანი რეპუტაცია შეელახა. გასათვალისწინებელია ასევე, წინადადებათა კონტექსტიც, რომელიც მიმართული იყო არა უშუალოდ ადვოკატ ე. რ.-ს მიმართ, არამედ ე. რ.-ს კლიენტის მიმართ, რომელიც იყო პროცესის მონაწილე და რომლის მიმართ განხორციელებული გამონათქვამები ადვოკატს დამატებით ვალდებულებას აკისრებს (პროცესის მონაწილე პირის მიმართ პატივისცემით ვალდებულება).

12.10 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ ე. რ.-ს მიმართ წარმოთქმული სიტყვები იძლევა ლოგიკური მსჯელობის საფუძველს, რომ ადვოკატებს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა, ხოლო ს. ჯ.-ს მიერ გამოყენებული ტერმინები ასახავს არაპოზიტიურ დამოკიდებულებას ადვოკატ ე. რ.-ს მიმართ.

12.11 ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ ე. რ.-ს მიმართ წარმოთქმული სიტყვები არ ჯდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, ვინაიდან წარმოთქმული წინადადებების შინაარსი, ფორმა თუ კონტექსტი არის შეურაცხმყოფელი და მართლსაწინააღმდეგო, ამასთან წარმოთქმულმა ფრაზებმა გამოიწვია ადვოკატ ე. რ.-ს ღირსების შელახვა და ადვოკატის მხრიდან კოლეგა ადვოკატის მიმართ პატივისცემის ვალდებულების დარღვევა. რაც შეეება, ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ წარმოთქმულ ფრაზაში მუქარის შემცველი განცხადებების არსებობა/არარსებობას - აღნიშნულის შეფასება

ვერ განხორციელდება ეთიკის კომისიის მიერ, ვინაიდან სცდება კომისიის კომპეტენციის ფარგლებს.

12.12 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

12.13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

12.14 მოცემულ შემთხვევაში, ზიანი მიადგა, როგორც ადვოკატის პროფესიის, ასევე კოლეგა ადვოკატის ღირსებას. თუმცა კოლეგია ითვალისწინებს გადაცდომის სიმძიმეს, ხარისხს, ასევე იმ ფაქტს, რომ ადვოკატი ს. ჯ. არ ყოფილა დისციპლინირებული, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან.

12.15 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ დაარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი და მე-10 მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქმეში მოცემული გარემოებებით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა და მას დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 098/18 ადვოკატ ს. ჯ.-ს /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ადვოკატ ს. ჯ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

გადაწყვეტილებას ერთვის ეთიკის კომისიის წევრის, ცისმარი ონიანის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/

**II დისციპლინური კოლეგიის წევრის, ცისმარი ონიანის**
**განსხვავებული აზრი**

**ეთიკის კომისიის №098/18 გადაწყვეტილებაზე,**

**დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე**

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ და ვეთანხმები, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილი დარღვევას. თუმცა მიმაჩნია, რომ განხილვის კოლეგიის წევრთა უმრავლესობის პოზიცია - ს. ჯ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმით გაფრთხილების გამოყენების თაობაზე არის შეუსაბამოდ მკაცრი არსებულ გადაცდომასთან მიმართებით.

მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დარღვევის სიმძიმე, შევაფასოთ გარემოებები, რომელმაც გავლენა მოახდინა ადვოკატის მიერ გადაცომის ჩადენაზე, განვსაზღვროთ ზიანის მოცულობა და დამდგარი შედეგი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ადვოკატის პიროვნება და მისი დამოკიდებულება დისციპლინური გადაცდომის მიმართ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №სპ-09-17, განმარტა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების დროს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებზე, რომლის მიხედვით: *„დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია ადვოკატის ბრალეული ქმედება, ბრალის ხარისხი წარმოადგენს კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების ღონისძიების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.*

მნიშვნელოვანია ყურადღება იქნეს გამახვილებული შემდეგ გარემოებებზე:

ადვოკატებს შორის საუბარი მიმდინარეობდა სატელეფონო საშუალებით - პირადად და არა საჯაროდ. ამასთანავე, საუბარი ეხებოდა მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, რა დროსაც ორივე ადვოკატი საუბრობდა ხმამაღალ ტონალობაში, კლიენტების ინეტერესების სასარგებლოდ.

ადვოკატი ს. ჯ., სადავო ტერმინების გამოყენების დროს იყო ემოციურად არასტაბილური, რაზეც შესაძლოა გავლენა მოახდინა ადვოკატ ე. რ.-ს მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა,

რომლითაც ის საუბრობდა არა თავისი მოსაზრებებით, არამედ გარკვეული ფაქტებით, რომლის ნამდვილობაზე კამათის დროს ადვოკატმა ს. ჯ.-მ გამოიყენა გადაწყვეტილებაში აღნიშნული ტერმინები. ამასთანავე, ს. ჯ.-ს გაღიზიანება მიმართული იყო ე. რ.-ს კლიენტის მიმართ და ს. ჯ.-მ, ე. რ.-ს კლიენტის მისამართით გამოიყენა შეურაცხმყოფელი სიტყვები.

ადვოკატ ე. რ.-ს განმარტებიდან არ ირკვევა, თუ კონკრეტულად რომელ სიტყვას მიიჩნევს ის შეურაცხყოფად, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს ზიანის ხარისხი. ხოლო, ადვოკატმა ს. ჯ.-მ განხილვის კოლეგიის სხდომაზე მზადყოფნა გამოხატა მის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამო ადვოკატ ე. რ.-სთვის ბოდიში მოეხადა.

ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ აქამდე დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოყენებული არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება არის არაპროპორციული ღონისძიება. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არსებობს ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის საფუძველი.

ცისმარი ონიანი

ეთიკის კომისიის წევრი